პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 აპრილი ოთხშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი ● № 82 (14686)

## მოგილოცავთ მაღალ ჯილდოს!

## საქა ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის ლენინის საიუბილეო საპატიო სიგელებით დაჯილდოდს 2.500 საწარმოს, ორგანიზაციის, საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის კოლექტივები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ დადგენილებაში ლენინის საიუბილეო საპატიო სიგელებით დაჯილდოდის შესახებ გულითადად მიუოლცეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეწვედრისათვის საყოველთაოსახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს, მადლობა გადაუხადეს მშრომელებს დიდი წვლილისათვის ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში და გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ მუშები და კოლმეურნეები, ინჟინრები და ტექნიკოსები, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელი, რომლებიც ახორციელებენ ლენინის წინასწარდასახულობებს, კიდევ უფრო მაღლა ასწევენ სოციალისტური შეჯიბრების დროშას, გააძლიერებენ ბრძოლას სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მოუწოდეს მთელ საბჭოთა ხალხს საიუბილეო 1970 წელი აღნიშნონ სახელმწიფოთა გეგმების და სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებით, ახალი დიდი წარმატებებით სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში.

**საქართველოს სსრ საწარმოები, ორგანიზაციები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, რომელთა კოლექტივებმა უველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაჯილდოებული არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს ლენინის საიუბილეო საპატიო სიგელებით:**

გულრიფშის ტყის მრეწველობის მეურნეობა, აფხაზეთის ასსრ;
ქ. ფალკის ხრამის ჰიდროელექტროსადგურების № 5 კასკადი;
ქუთაისის ლითოფონის ქარხანა;
№ 3 მექანიკური ქარხანა, ქ. თბილისი;
მახარაძის აბრეშუმის ქაფსახვევ-საბრეხი ფაბრიკა;
ფოთის № 2 ფისქვილკომბინატი;
ჰიათურის მარგანეცის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროთასამმართველო;
თბილისის კერამიკული კომბინატი;
თბილისის რძის კომბინატი;
თბილისის ჩაის საფონი ფაბრიკა;
თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკა;
„საქძვანახშირის“ კომბინატის ორჯონიკიძის სახელობის შახტი, ქ. ტყიბული;
ცხინვალის № 9 სამძერწალო ფაბრიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი;
ამიერკავკასიის რკინიგზა;
თბილისის მე-5 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა;
თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველო;
№ 28 საგზაო-სამექანიზაციო უბანი, ქ. გორი;
№ 1 ტრესტის № 2 მოძრავი მექანიზებული კოლონა;
№ 4 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონა;
№ 7 სამშენებლო ტრესტი, ქ. თბილისი;
„საქსოფლტექნიკის“ საცდელი სარემონტო-მექანიკური ქარხანა;
საბჭოთა მეურნეობა „ქიზნისი“, გორის რაიონი;
საბჭოთა მეურნეობა „ხირსა“, სიღნაღის რაიონი;
ლენინის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობა „ინგირი“, ზუგდიდის რაიონი;
სოფელ ხანდოს კოლმეურნეობა, ახალქალაქის რაიონი;
სოფელ ალავერდის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, ზესტაფონის რაიონი;
სოფელ დვანის კოლმეურნეობა, ქარელის რაიონი;
სოფელ შრომის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, მახარაძის რაიონი;
სოფელ სანიორის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობა, თელავის რაიონი;
სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა, წითელწყაროს რაიონი;
სოფელ ხაბუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, ჩხოროწყუს რაიონი;
სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, გალის რაიონი;
სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობა, ქობულეთის რაიონი;
საქართველოს სსრ ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი, ქ. თბილისი;
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქებათა ფიზიკის ინსტიტუტი, ქ. თბილისი;
მახარაძის მოსახლეობის საჭოფაცხოვრებო მომსახურების რაიონული ხამმართველო;
საქართველოს წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი, ქ. თბილისი;
საბარამჯოს რაიკოოპკავშირი;
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი;
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი;
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
თბილისის გეოლოგიურ-საძიებო პარტია, ს. ძევრი;
საქართველოს სსრ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური, ქ. თბილისი;
არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის საქალაქო ორგანიზაცია;
საქართველოს ელექტრომომარაგება-გასალების სამმართველო, ქ. თბილისი.
ხიდისთავის № 15 სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.

**სოფლის მშრომელთა ნობათი**

## კვარტალური გეგმა შესრულებულია

**საქართველოს** სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება, ბევრ ძალასა და ენერგიას ახმარენ, რომ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდით აღნიშნონ ლენინურ საიუბილეო თარიღი — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს პირველი წარმატებანი მოიპოვეს მეცხოველეებმა, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს ხორცის, რძის, კვერცხის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა.

ხორცის დამზადების გეგმა რეალიზებულია 121 პროცენტით, რძისა — 123 პროცენტით, კვერცხისა — 128 პროცენტით. (საქდესი).

## ვ. ი. ლენინის მუზეუმის ახალი დარბაზები

6 აპრილს ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში გაიხსნა თერთმეტი ახალი დარბაზი.

ცენტრალური დარბაზი ეძღვნება თემას „ვ. ი. ლენინი და თანამედროვე რევოლუციური მოძრაობა“. მისი დოკუმენტების და მასალები აშუქებენ იმას, თუ რა უდიდესი ზემოქმედება მოახდინეს ლენინის იდეებმა რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე, გვიჩვენებენ კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის მოძღვრების უწყვეტ მემკვიდრეობითობას. სტენდებზეა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, „კაპიტალი“, ლენინის შრომები — „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, ფოტოპირი ლენინის ხელნაწერისა „მესამე ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში“.

ამავე დარბაზშია მასალები კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირისა, რომელიც 1969 წლის ივნისში მიმდინარეობდა მოსკოვში. კომუნისტთა ფორუმმა დიდი ენთუზიაზმით მიიღო მიმართული „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახებ“. ექსპოზიცია გვიჩვენებს, თუ როგორ ეშზადებიან მშრომელები ამ დიდი თარიღის აღსანიშნავად მსოფლიოს ყველა კუთხეში.

დამთვალიერებლები ინტერესით ეცნობიან ახალ ექსპოზიციებს თემაზე: „ულიანოვების ოჯახი“, „ღირსშესანიშნავი ლენინისეული ადგილები“, „მშრომელთა საჩუქრები ვ. ი. ლენინს“. რამდენიმე დარბაზში წარმოდგენილია ფერწერის, ქანდაკებისა და გრაფიკის, ხალხური შემოქმედების ნაწარმოებები. მათში ასახულია პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელის ვ. ი. ლენინის უკვდავი სახე. ექსპოზიცია „ვ. ი. ლენინის სახე ლიტერატურაში“ ისხნება გაზეთ „ნოვაია ჟიზნის“ 1905 წლის 13 ნოემბრის ნომრით, რომელშიც დაბეჭდილია ლენინის სტატია „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. აქვეა ვლადიმერ ილიას ძის პირველი ლიტერატურული პორტრეტი, რომელიც ა. მ. გორკიმ შექმნა, — მისი სტატია 1920 წლის ჟურნალ „კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალის“ № 12 ნომერში. ვიტრინაზეა ვ. მაიაკოვსკის პოემის „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის“ პირველი გამოცემა. ეპიგრაფის ნაცვლად მას წამძღვარებული აქვს სიტყვები: „ჯეროვნი რუსეთის კომუნისტურ პარტიას“.

დიდ ინტერესს იწვევს განყოფილება „ვ. ი. ლენინის სახე კინოსა და თეატრში“, პირველ პლანზე აქ მოცემულია სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტები თეატრალური საქმის გაერთიანების, ფოტოგრაფიისა და კინემატოგრაფიის, ვაჭრობისა და მრეწველობის გადასვლის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების გამგებლობაში. ფოტო და კინო კადრები ლენინს უჩვენებენ კრემლის საშუალო კაბინეტში, მიტინგებსა და კრებებზე. აქვეა ფოტოსურათები ლენინის შესახებ სპექტაკლებიდან.

ამიერიდან ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ექსპოზიციები განლაგებული იქნება 34 დარბაზში. ისინი შეიცავენ ლენინის ხელნაწერებს, ვ. ი. ლენინის ნაშრომთა პირველ გამოცემებს, გაზეთებს, რომლებშიც გამოქვეყნებულია მისი სტატიები, დოკუმენტურ ფოტოსურათებს, პირად ნივთებს, სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებს, რომლებიც ეძღვნება მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადსა და მასწავლებელს. (საკდესი).

## ელექტროენერგიის ეკონომია

**ხარკოვის** ვ. ი. ლენინის სახელობის მძიმე ელექტრომანქანათმაშენებელი ქარხანაში დამზადდა პირველი გენერატორი — ძრავა, რომელიც კიევის ჰიდრომაკუმულირებელი ელექტროსადგურისათვის არის განკუთვნილი.

დილით და საღამოთი, ელექტროენერგიის უმტესეს მოხმარების საათებში, ტურბინა ამოქმედებს ამ აგრეგატს და იგი გამომუშავებს ელექტროდენს. ღამით კი პირიქით იქნება: გენერატორს ჩართავენ ქსელში, როგორც ელექტროძრავას და მაშინ იგი ამუშავებს ტურბინას, რომელიც უმოქმედოდ გადაიქცევა. ამ ნაბიჯით დნეპრის წყალი წავა ხელოვნურ წყალსაცავში, რომელიც სამოცდაათი მეტრის სიმაღლეზეა. აქ მას დააგროვებენ, საჭირო მომენტში კი კვლავ დნეპრში ჩაუშვებენ და იგი ამოქმედებს ელექტროსადგურის აგრეგატებს. (საკდესი).

## სამეცნიერო სესია

**7 აპრილს** მოსკოვში სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში გაიხსნა სამეცნიერო სესია **„ვ. ი. ლენინი და საბჭოთა საგარეო პოლიტიკა“**. მისი ორგანიზატორები არიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემათა სამეცნიერო საბჭო, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობის სახელმწიფო ინსტიტუტი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეწყობის ასოციაცია სსრ კავშირში.

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერები.

შესავალი სიტყვით სესია გახსნა აკადემიკოსმა **ვ. მ. ხვოსტოვმა**, მოხსენება „ვ. ი. ლენინი — საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ფუძემდებელი“ გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ **ვ. ს. სემიონოვმა**.

„ლენინური საგარეო პოლიტიკა და მსოფლიოს რევოლუციური განახლება“ — ამ თემაზე მოხსენება გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **შ. ა. სანაკოევმა**. (საკდესის კორ.).

## „ვარსკვლავეთის“ მუზეუმში

კალუგა, 7 აპრილი, (საკდესის კორ. ნ. ალექსანდროვი). „მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ მუზეუმს დაათვალიერებ, ნამდვილად ვრძნობ, რომ კოსმოსი შეიდა კოსმონავტიკის საუკუნეში. ხოლო, რაც მთავარია, გრძნობ მეცნიერებისა და ტექნიკის ამ ახალი დარგის — მსოფლიოში ჯერ-ჯერობით ერთადერთი მუზეუმის „ნინსწარმეტყველებას“. ეს მხოლოდ ერთ-ერთი ჩანაწერია ა. ბ. ციოლკოვსკის სალეგენდო ალბომში, ალბომ-ალბომ, ფურცელ-ფურცელ ამოკითხული ეს ფრაზა ... ალბომ-ალბომ, ფურცელ-ფურცელ ... ეს ... ეს ... ეს

# მსოფლიო დღეს

## უდიდესი მეცნიერი

### იუნესკოს სიმპოზიუმი, მიძღვნილი ვ. ი. ლენინისადმი

ტამპერე, 6 აპრილი. საკ.დესის კორესპონდენტი ვ. კოსოვი გვატყობინებს:

დღეს აქ რატუშის შენობაში ნაზეიმოდ გაიხსნა იუნესკოს საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ვ. ი. ლენინი და მეცნიერების, კულტურისა და განათლების განვითარების საკითხები“. სიმპოზიუმში მონაწილეობენ სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების, ფინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, იაპონიის, მექსიკის, საფრანგეთის, შვეიცარიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ინდოეთის, პაკისტანისა და სხვა ქვეყნების თვალსაჩინო მეცნიერები.

სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ კ. სიიკოლამ წაიკითხა ფინეთის პრეზიდენტის უ. კ. კეკონენის მისალმება სიმპოზიუმის მონაწილეებისადმი.

ფინეთი მოხარულია, ნათქვამია მისალმებაში, რომ შეძლო მიეღო ამ სამეცნიერო კრების მონაწილენი. ვ. ი. ლენინი დიდხანს ცხოვრობდა ხოლმე ფინეთში, სადაც თავშესაფარს პოულობდა, მეფის რეჟიმის მიერ დევნილი. იგი კარგად იცნობდა ფინეთს და ინტერესებდა ჩვენი ქვეყნის საქმეები. ვ. ი. ლენინმა პირველმა მოაწერა ხელი დოკუმენტს, რომლითაც მაშინდელმა რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭომ ცნო ფინეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

სიმპოზიუმის მონაწილეებისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მისალმება წაიკითხა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, აკადემიკოსმა ა. მ. რუმიანცევმა.

ვ. ი. ლენინის — საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის საქმიანობა, აღნიშნულია მისალმებაში, გრანდიოზული და მრავალმხრივია, მისი იდეები ახდენდნენ და კვლავაც ახდენენ უდიდეს ზეგავლენას მსოფლიო განვითარების მთელ მსვლელობაზე. ვ. ი. ლენინმა, როგორც დიდმა მეცნიერმა, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა თანამედროვე ფილოსოფიური და პოლიტიკური აზრის განვითარებაში, ისტორიული პროცესის მარქსისტულ თეორიაში; დაუშრეტელი და მდიდარია მისი იდეური მემკვიდრეობა კულტურისა და განათლების დარგში.

ჩვენს საუკუნეში — მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარების საუკუნეში განსაკუთრებით აქტუალურია ლენინური მოწოდება უფართოეს მასებში მეცნიერებისა და კულტურის გავრცელების საჭიროების შესახებ. იუნესკოს, როგორც გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციას, შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს კაცობრიობის პროგრესის ამ გადამწყვეტი პირობის განხორციელებისათვის.

ნ. ვ. პოდგორნიმ სიმპოზიუმის მონაწილეებს უსურვა შემოქმედებითი წარმატებანი კვლევაში თანამედროვე მეცნიერების, კულტურისა და განათლების განვითარების აქტუალური პრობლემების ლენინური მემკვიდრეობის საფუძველზე.

შემდეგ წაკითხულ იქნა წერილი, რომლითაც საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეებს მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ თანმა. მან გამოთქვა რწმენა, რომ სიმპოზიუმი იქნება წვლილი ყველა ხალხის სოციალური პროგრესისა და ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში, დაეხმარება ქვეყნების თანამშრომლობას განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში, და, ამრიგად, ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს მშვიდობასა და უშიშროებას.

## ქურნალ „ნოვე დროგის“ ლენინური ნომერი

ვარშავა, 7 აპრილი. (საკ.დესი). პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას განსაკუთრებული საბაბი აქვს იმისათვის, რომ მთელ მსოფლიოს პროლეტარებთან, საბჭოთა კავშირის ხალხებთან და მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად აღნიშნოს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი. ამას წერს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა სტატიაში „ეროვნული საკითხისადმი ლენინური მიდგომა“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ნოვე დროგის“ აპრილის ნომერში. წარმატებები, რომლებიც პოლონეთის მუშათა მოძრაობამ მოიპოვა პიტლერელი დამპყრობლებისა და პოლონეთის რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, ნათქვამია სტატიაში, განუყრელად დაკავშირებულია. ლენინის მოძღვრებასთან ეროვნული საკითხის შესახებ „და რევოლუციურ კლასობრივ ბრძოლასთან ეროვნული საკითხის შეხამების შესახებ.

ლენინის იდეები საფუძვლად დაედო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის — პოლონეთის მუშათა მოძრაობაში პირველი პარტიის შექმნას, რომელმაც შეძლო პოლონეთის მუშათა კლასის კლასობრივი და საერთაშორისო ინტერესები გარდაექმნა საერთო-ეროვნულ პროგრამად, ხაზს უსვამს ვ. გომულკა. ამრიგად, ლენინურმა იდეებმა ეროვნულ საკითხში, სოციალისტური რევოლუციის მოკავშირეთა საკითხში განსაზღვრეს ჩვენი პარტიის პოლიტიკის მთავარი მიმართულება და მისი წარმატებანი და წარმოადგენენ იმ კომპასს, რომელიც მომავალში დაგვეხმარება შევიმუშაოთ სოციალისტური გარდაქმნებისა და სახალხო პოლონეთის განვითარების კურსი.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და თეორიული ორგანოს „ნოვე დროგის“ აპრილის ნომერი მთლიანად ეძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ჟურნალის პირველ გვერდზე მოთავსებულია ვლადიმერ ილიას-ძის პორტრეტი. ჟურნალში დაბეჭდილი 12 სტატია წარმოადგენს ლენინური მოძღვრების ღრმა გამოკვლევას და ეძღვნება ვ. ი. ლენინის იდეების განხორციელებას სახალხო პოლონეთში სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკაში.

## ეროვნული უმიერეტების სასამართლოს სხდომა

მოგადიშუ, 7 აპრილი. (საკ.დესი). სომალის დედაქალაქში დაიწყო ახლახან შექმნილი ეროვნული უშიშროების სასამართლოს სხდომები. სასამართლო განიხილავს ბრალდებებს, რომლებიც წაყენებული აქვთ მთავრობის ყოფილ წევრებს, აგრეთვე გამოძიებაში მყოფი დაახლოებით 50 კაცის საქმეებს, განაცხადა სასამართლოს პრეზიდენტმა პოდპოლკოვნიკმა მოჰამედ შეკ ოსმანმა.

სასამართლოს სხდომების გახსნის შესახებ ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ სასამართლო აგრეთვე გაარჩევს პოლიციელის სიქმეს, რომელსაც ბრალად ედება სომალის ყოფილი პრეზიდენტის შერმარკის მოკვლა.

## ინგლის-სსრ კავშირის ვოლაპარაკება

ლონდონი, 6 აპრილი. (საკ.დესი). აქ მუშაობა დაამთავრა ინგლის-საბჭოთა კავშირის ორმხრივი ურთიერთობის განვითარების საკითხთა საკონსულტაციო კომიტეტმა.

სხდომათა დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნულია ორივე დელეგაციის „ბოლო ხანს ინტენსიურად ერთმანეთის ინფორმაციისა და ინტერესების ურთიერთგანხილვა“. ორივე მხარე „ეთანხმება, რომ ეს ურთიერთობა ხელს შეუწყობს ევროპაში ძალთა ბალანსის გაფართოებას“.

## ეროვნული უშიშროების სასამართლოს სხდომა

მოგადიშუ, 7 აპრილი. (საკ.დესი). სომალის დედაქალაქში დაიწყო ახლახან შექმნილი ეროვნული უშიშროების სასამართლოს სხდომები. სასამართლო განიხილავს ბრალდებებს, რომლებიც წაყენებული აქვთ მთავრობის ყოფილ წევრებს, აგრეთვე გამოძიებაში მყოფი დაახლოებით 50 კაცის საქმეებს, განაცხადა სასამართლოს პრეზიდენტმა პოდპოლკოვნიკმა მოჰამედ შეკ ოსმანმა.

სასამართლოს სხდომების გახსნის შესახებ ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ სასამართლო აგრეთვე გაარჩევს პოლიციელის საქმეს, რომელსაც ბრალად ედება სომალის ყოფილი პრეზიდენტის შერმარკის მოკვლა.

## ინდოეთი-ჩინეთის ურთიერთობა

ბეიჯინგი, 7 აპრილი. (საკ.დესი). ჩინეთ-ინდოეთის ურთიერთობა ბოლო ხანს ნორმალურ საფუძველზე დადგა, ეუბნებოდა ჩინეთის ხელმძღვანელობა ინდოეთის ელჩს ჩინეთში ბ. ნეგის.

ელჩმა ინდოეთის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ინდოეთ-ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზაციისა და ინდოეთ-ჩინეთ-ინდონეზიის ურთიერთობის ნორმალიზაციის ინდოეთის ინიციატივა ინდონეზიის ელჩ ბ. ბ. ბ.

# ბუნების დაცვა საერთო-სახალხო საქმეა

(დასასრული)

ორი წლის შემდეგ საზოგადოების წალკის რაიონული საბჭო მოამზადებს თავის რაიონს 2,5 მექტარზე გაშენებულ საკუთარ სანერგეში გამოყვანილი ნერგით.

სასიხარულოა, რომ გამწვანებისა და ბუნების დაცვის საქმეში ხელ უფრო აქტიურად და ხალისით ებმება ჩვენი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა. ძნელია ყველა მაგალითის მოყვანა, სადაც სკოლების, ტექნიკუმების და უმაღლესი სკოლის სტუდენტების დაუღალავი და ნამდვილად დიდი მუშაობის შედეგად არაერთი პარკი გაშენდა და მრავალი კერძარი ხრიოკი ფერდობი დაიფარა მწვანე ნარგავებით. თითქმის ყველგან ამ საქმეში ინიციატორი და ხელმძღვანელია კომკავშირის ორგანიზაცია, ხოლო მასწავლებლობა უფროს შემთხვევაში რჩევა-დარიგებასა და ხელმძღვანელობას არ აკლებს მას.

აღსანიშნავია თერჯოლის რაიონის სოფ. ზემო ხანნის საშუალო სკოლასთან, თბილისის რკინიგზის პირველ საშუალო სკოლასთან არსებული „ბუნების მეგობრის“ საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობა ამ მხრივ. ნაყოფიერად მუშაობს თბილისის პიონერთა სახასლის ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების საბჭო. ნორჩმა ბუნების მეგობრებმა გადაწყვიტეს წელს გაზაფხულზე დარგონ და გაახარონ რამდენმე ათასი ძირი ხე და მოაწყონ ხეივანი თბილისის ზღვის სანაპიროსთან მდ. ივრის შესართავის მიდამოებში.

ყველა ამ წარმატების გამო საქართველოს საშუალო სკოლების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების 235 მოსწავლე და სტუდენტი დაჯილდოდა საზოგადოების საპატიო სიგელებით.

მაგრამ არ შეიძლება მიღწეულით დაკმაყოფილება. ორმოების ამოღება და ნერგების დარგვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს გამწვანებას. საჭიროა საზოგადოების ადგილობრივმა საბჭოებმა მეტი უურადღება მიაქციონ ნარგავების მოვლა-პატრონობას, მათს გაბარებას, დაცვას, საჭიროა ნერგების დარგვა ავროწესების გათვალისწინებით, ჯიშების სწორი შერჩევა.

საძოვრებით ხარგებლობის საქმის შესწავლამ დაგვანახვა, რომ უყაირათოდ გამოუენების გამო მცენარეულობა დიდ ფართობზე გადაგვარდა და საკვებად უფარგისი ბალახებით დასარეულიანდა. ზოგ ადგილას საძოვრების გადატვირთვის გამო მთის კალთების ნიადაგი დაიშალა და მისი რღვევის პროცესი დაიწყო. შიშველი მთის კალთები ადვილად ირეცხება, ნაშალი მასალა ჩადის ხეკვებში და ვეებერთელა გამოტანის კონუსებს და სელურ ღვარცოფს ქმნის, რაც უდიდეს ზიანს აყენებს მოსახლეობას და სახალხო მეურნეობას.

მიწა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველი, ხალხის სიმდიდრის უნიშვნელოვანესი წყაროა. ამ სიმდიდრის შენარჩუნება, მისი ნაყოფიერად გამოყენება და ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა ამ ყველაზე უმნიშვნელოვანესი საქმეა. ამ საკითხის მნიშვნელობაზე ერთ მეცნიერებელ, რომ რამდენიმე დღის წინათ სან. კა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა მიწათსარგებლობის დაცვისა და მიწიგის უკეთ გამოყენების საკითხი. რომელშიც ნიადაგების ეროზიას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ამ. ბ. მეცნიერ-ძმ თავის მოხსენებაში ღრმა ანალიზი გაუკეთა მიწის კანონის გაჭარების მდგომარეობას და ხაზი გაუსვა, რომ ნიადაგის დაცვა, მიწის რესურსების უნარიანად გამოყენება არა მარტო ეკონომიური, არამედ ამავე დროს დიდი პოლიტიკური ამოცანაა არის.

ხაზი შემოხვეულობა ეროზიის მიზეზია ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედება, ჩამორეცხილი ნიადაგის აღდგენა კი დიდ სიძნელეს წარმოადგენს, რადგან ბუნებრივ პირობებში ნიადაგის წარმოქმნის პროცესი მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ქანებიდან 30 სანტიმეტრის სისქის ნიადაგის წარმოქმნისათვის საჭიროა რამდენიმე ათასი წელი, ხოლო მის ჩამორეცხვას სჭირდება ერთეული და ათეული წლები. „ბუნების მეგობრის“ საზოგადოების მოვალეობას საქართველოს ფაუნის დაცვა და მისი შემდგომი განვითარებაც შეადგენს.

ცნობილია, რომ საქართველო ძველთაგანვე მდიდარი იყო ფაუნის ისეთი შესანიშნავი სახეებით, როგორიც არის: ირემი, ჯიხვი, შველი. ნიამორი, გარეული ღორი, კურდღელი; ფრინველებიდან — როჭო, ხოხობი, კაკაბი, ტყის ქათამი, მწყერი, გარეული მტრედი და ა. შ. ჩვენს წყლებში კარგად ბინადრობდნენ ორაგული, ლოქო, ლამბები, ფიჩხული, ხრამული და სხვა ჯიშები. საქართველოს ფაუნამ ამ 40-50 წლის მანძილზე დიდი შემცირება განიცადა. ზოგი სახეობა კი სულ გადაშენდა (მაგალითად, ქურციკი), ფაუნის დაცვა განსაკუთრებულ ღონისძიებათა გატარებას მოითხოვდა. ამით არის გამოწვეული მთავრობის დადგენილებით მრავალი წლის მანძილზე ნადირობის აკრძალვა ირემზე, ჯიხვზე, ხოხობზე, დურაჯზე, კაკაბზე და სხვ. მაგრამ ჯერ ვერ აღდგა ის, რაც წინათ იყო.

ცხადია, ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს საგანგებოდ დაცული ნაკრძალები და მეურნეობები, რომელთა ფართობი განსაზღვრულია და სადაც ფაუნის მომრავლების საქმეში მართლაც არის სერიოზული წარმატებები. მაგრამ ეს ნაკრძალები რეპუბლიკური მასშტაბის თვალსაზრისით ძალიან მცირეა.

საქართველოს ფაუნის დაცვა უშუალოდ დაკავშირებულია ფლორის დაცვასთან, რადგან ფაუნის თავშესაფარს პირველ რიგში ტყე და ბუჩქნარი წარმოადგენს.

რაც შეეხება ნადირობას, მართალია, ის რეგულირებულია მთავრობის სათანადო დადგენილებით და მონადირეთა კავშირის მიერ შემოღებული წესებით, მაგრამ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი დროის მონადირე ბუნების სიყვარულით გამსჭვალული ადამიანი იყოს, რომელიც ბუნების კანონთა ცოდნის მინიმუმს მაინც ფლობს; ნადირობა მისთვის დასვენებას, ფიზიკურ და სულიერ ჯრთობას, ბუნების მოვლენათა შესწავლასა და მისი მშვენიერებით დატკბობას უნდა წარმოადგენდეს.

სასარგებლო ნადირისა და ფრინველის დაცვას თუ ისე მოკიდებთ ხელს, როგორც გამწვანების საქმეს, მაშინ არც ერთი ბრაკონიერი არ დარჩება უმხილველი და დაუსჯელი.

ბუნების დაცვის კანონის გამოსვლის შემდეგ ერთგვარად გაუჭირდა თევზის დაცვის საქმე, მაგრამ წყლის მოწამვლისა და თევზის მოსპობის ფაქტებს მაინც აქვს ადგილი. მართალია, რაიონებში ამ საქმეს ჯეროვან მეთვალყურეობას უწევენ თევზის დაცვის ინსპექტორები და მონადირეთა კავშირის წევრები, მაგრამ მათ უეჭველად უსაჭიროებათ „ბუნების მეგობრის“ საზოგადოების ძირეული ორგანიზაციების დახმარება.

ცნობილია, რომ თევზის რესურსების შემცირება, მისი მოპოვების ბარბაროსულ მეთოდებთან ერთად, განაპირობა აგრეთვე წყლის გაბინძურებამ. სამწუხაროდ, ჩვენს ქალაქებსა და რაიონებში წყლის გაბინძურების შემთხვევებს ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

რუსთავის ქიმიური კომბინატიდან, მეტალურგიული ქარხნიდან და ხამშენებლო კომბინატიდან ჩამოდენილმა გაბინძურებულმა წყალმა შარშან დიდძალი თევზი გაანადგურა მდინარე მტკვარში. ასევე არ იწმინდება ბათუმის კოფეინის და სხვა ქარხნებიდან ჩამდინარე წყლები. ჩვენი ვალია მოვთხოვოთ ამ საწარმოთა ხელმძღვანელებს მტკიცედ დაიცვან არსებული წესები და ალკვეთონ მდინარეთა გაბინძურება.

„ბუნების მეგობრის“ საზოგადოების ერთ-ერთი

> ტყის მოვლა-გაშენება და დაცვა, ეს არ არის რომელიმე კერძო პიროვნების საქმე; ეს მთელი ერის საქმეა. მისაც ერის მოგვალისათვის გული არ შესტკივა, ის რასაკვირველია, ხემებს უღვთოდ გაიჩანაგებს, გაკაფავს და ცეცხლსაც კი წაუკიდებს...
>
> ილია ჭავჭავაძე

**შენ გენაცვალე, ტყევ დაბურულო,**
**ჩემო სიცოცხლევ, სულო და გულო,**
**ვაჟა-ფშაველა**

**მწერალი — ბუნების ძოიბაგი**

ემანქანები შუა ქართლის გზებზე მიჰქრიან. თვითეული ჩვენგანი თავის ხიდეებსა და ზმანებებში ჩამჯდარა და ქნის ხეობას თავს დასტრიალებს. ერთი საოცარი წყაროს ბედს ვიბობთ. იგი „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებსაც შეიცავს და მის ბედში მთელი საქართველოს ბედიც დაინახვების.

ადამიანმა თავდაპირველად ბუნება ალბათ წყაროში იგრძნო. ეფიქრომ, ახლაც, მანქანების ხანაში, ბუნებაში უმჯობესი ჩასასვენელი „სარკეული“ არც არსებობს... ხანდახან თურმე — ისტორიაშიც!.. და თუ თვალი გულმეცნიერად გიჭირს, ყოველ წყაროში მიწის ფესვსაც დაინახავ და ცის კამარასაც!.. ვერ წარმომედგინა — რა შინაგანი სიახლოვე ყოფილა წიგნსა და წყაროს შორის! აქ კი კავშირიცა და მსგავსებაც!

... ხელში გურამიშვილის „დავითიანი“ მაქვს. სადაც წყაროს ხსენებაა, ყველგან ჩავნიშნე. მას ხომ უდიდესი წყურვილი განუქარვებელი დარჩა...

**ვამე, ჩემო საესპვო, ტკბილო ცხოვრებისა წყაო,**
**გავეყარე შენს ნახვასა, ვა, თუ ველარ შავეყარო!**

...ხოლო როდესაც დავითის დაბადების (1705 წ.) თარიღს ეიგონებ, მეც უფრო მწყურდება და თავს მოკრძალებით ვხრი... ჩემზე უფროსი ხუკუნით ყოფილა!...

...ამ-ჰო ალბათ როგორ გამოიცვალა აქაურობა?! ნეტავ შემეძლოს „გურამიშვილის თვალით“ გადახედვა! მისი წყურვილით დაწყდება! ძველ ზმანებათა და ახალი სინამდვილის შეთანაბრება!

...მანქანები კი მიჰქრიან... მიჰქრიან სოფლისპირა გზებზე. აქ ლამი ყველაფრის დედაა — ჯალისა, წყაროებისა, ყანისა... ბადეგნახვებისა... სოფელსაც ხომ ლამისყანა ჰქვია!.. ასე გადაიჯაჭვა ამ ხეობაში ბუნება და ადამიანი.

ირტრუნის კოშკის თავანზე კვამლის ბოლქვი თითქმის უძრავად იდგა, ოდნავ-ოდნავ იხრებოდა ქსნისპირა ჭალებისაკენ. ლამისყანის გალავანზედაც ამდგარიყო ნიშნის კვამლი. ლანძვი კვამლისა ცხვილის ციხისაკენ, ქვემოჭალისაკენ, სამთავისისაკენ ნიშან-ნიშან გადადიოდა... ვისაც გონების თვალიც ჰქონდა, იცოდა — ასეთი კვამლის ქსელი იყო დალანძული მთელ აკაფულ-ჩაკაფულ საქართველოში. ერი გარემცულ ალყაში იჯდა, შელეწილ აბჯრით იბრძოდა, ან მოეხსა და ღრეჩში იყო გახიზნული. დიდ-პატარა მტაცებელი ურთიერთს ენაცვლებოდა. მეფე ვახტანგ VI—ვიდრე ოდნავი გასაძლისი ეპოვებოდა, ქართლში იყო, მერმე დიდი ამალით, რაჭის გზით, რუსეთს წავიდა... და ალარც დაბრუნებულა!

... „ქვეყნის წახდენის მიზეზით“ ახალგაზრდა მგოსანი გაჰიდებოდა მშობლიურ საგურამოს და თავს აფარებდა ლამისყანას. ჯერ მუშტაკიცებელ კალამს ახლა აუცილებელი თოფ-იარაღიც დაემატა... თუმცა სიყვარულიც და ადფრთოვანებაც ხელუხლებელი დარჩა... ალდა, ქსნის ჭალაში ერთი დეზვე და მისი ფშანი გულისხმიერად შეუყვარდა.

... იმ ბედკრული დღესაც ადრიანად ჩავიდა. გადაუდები საქმეც ჰქონდა. „მოყვრის მუშას“ ელოდა. სამკალი აქვე ახლოს ხოდაბუნებში იყო.

დეზვის ჩრდილში დაუჯერებელი მყუდროება იგრძნო. დაბურულ ვარჯში ალარც საგანგაშო კვამლის ბოლქვი ჩანდა, წყაროს ეღურტულში კი შორეული ზარის დარისხებაც ფშანის ჭავლებად ისახებოდა და ჰქრებოდა... და მაინც, იარაღი ჩამჯდარმა, ვერც ლექსი შეთხზა და ვერც წყალი შესვა. სული შეეხუთა მგოსანს, ჭალის განუკითხავი სიღრმე მოეძალა... მიაყვა გულის ძახილს და დღეგანდელ დღის სისხამზე ჯერ უმწრად წყაროს სარკეში ჩაიხედა...

... პრეკლილ დეზეზე გვრიტების გუნდი დაინახა... მოლაღურიც სტვენდა „შვილო ოგროიან“... მას კი „შვილო დავითად“ ჩამოესმა... მგოსანიც მიაყვა თავის ბედისწერას... რა მნიშვნელობა აქვს თარეში, ზარსა თუ კვამლს, უკეთუ გული ახალგაზრდული გატაცებითა და ლექსებით სუნთქავს?!

**... „ავიხსენ თოფი და ხმალი, მივყუდე მუხის ძირადო:**
**იმ წყალზე პირის საბანად მე მიველ თავის ჭირადო...“**

„ირტრუნის გორითა“ [illegible] ლეკები ზვერავდნენ წყაროსთან შეგულისხმებულს...

ასე დაიწყო „დავითიანის“ უბედური ოდისეა. მგოსანმა თავისი სამშობლო უკანასკნელად ამ წყაროში არეკლილად ნახა... მერმე დაიწყო გაუთავებელი ჯაჭვი ტყვეობისა, გაქცევისა, ბრძოლისა, უთვისტომობისა!..

**... „გულზედ მქონდა მოხაზული ცხოვრებისა**
**წყაროს ღვარი,**
**ვიტირე და გარდვადინე მე იმაზე ცრემლთა ღვარი.“**

მაგრამ დაჯუფთებულად გამოიგედა უმტკიცესი ჯაჭვი სიტყვისა, რომლის ერთი თავი სწორედ ლამისყანის წყაროსთან აბია!

ამანქანებმა უმატეს სვლას. მთავარ გზასაც გადავუხვიეთ. არა, ეს წარსულის ზმანება აღარ არის. არც წინ წასწრებული ფიქრის ნაძალი... გულდაგული აწმყოა! მთელი თავისი სიგრძე-სიგანით...

— ვისია, ვისი... ეს თვალუწვდენელი ზვართ-ვენახეთი?!

ყველა ერთად ალაპარაკდა...

— ოკამის მეურნეობისა! 1100 ჰექტარი! ცხრა სოფელი! საერთო ფართობი 8000-ს აღემატება!

— წყალსადენსაც ესენი აკეთებენ!

— ეს ახალი, დიდი... უმთავრესად ორსართულა სახლები? შუშაბანდები? ფართო კიბეები?

— ესეც ოკამი! 1.400 კომლი! არაფერი არ აკლიათ გარდა წყლისა!

— არა! სარწყავიც აქვთ — დიდი არხი! წყარო კი არა!

— ეს მათი ახალი საშუალო სკოლა შენდება! ოთხი კორპუსი! ათას მოწაფეს მაინც დაიტევს!

— ესეც თეზი! მათაც მხოლოდ სასმელი წყალი... დანარჩენი ყველაფერი აქვთ! სოფელში ერთადერთი წყაროა!

— რამდენი სოფელია ასე უწყლოდ?

... მე აქამდე არ ვიცი, ვინ კითხულობდა... ყველამ ურთიერთს შეეხედეთ... ჩვენს შორის თითქოს კიდევ ერთი, უხილავი გულშემატკივარი იყო... და მას ყველაზე მეტი უფლება ჰქონდა კითხვისა და წყაროს ბედის გადაწყვეტისა...

— ექვსი!... ექვსი სოფელი!

— ოკამი, თეზი, ფერმა, ჩანგილარი, იგოეთი, მრგვალი ჭალა!

— 2100 კომლი... 7200 სული!.. სარწყავი აქვთ და სასმელი არა!

წყურვილმა მანქანაშიც უფრო იძალა. როდესაც სოფელს სწყურია, თავკაცები თუ თავკაცობენ, შეუძლებელია მათ არ სწყურდეთ!

ლამისყანას მივატანეთ. ახლა აქ დიდი, საკმაოდ კეთილმოწყობილი სოფელია. 750 კომლი, შვინდიკაკის წყაროები, საშუალო სკოლა, დიდი სამსართულიანი სასახლე და ციხე-ბალავანი. ახლა შიგ სოფლის საბჭო და მცირე ბიბლიოთეკაა. შეკეთების შემდეგ საბაჭვო ბაღი გაიხსნება. გალავანსა და კოშკებსაც შეკეთება უნდა.

სოფელში, ახლაც, ძველი, მათ შორის გურამიშვილისდროინდელი გვარებიც არიან — პავლიაშვილები, ბეინაშვილები, ქენქაძეები, ღვინიამვილები, გვრიტიშვილები, გარეკანიეები და სხვანი... ახალქართულ სახლებში ლაგად ცხოვრობენ და არც საგანგაშო კვამლი არსადა ჩანს! ხოლო გარეკანიანთან გვარი, რომელთაც აქ მთელი უბანი ჰქონდათ, ხოფელში დადასტურებული გადმოცემითაც, მჭიდრო კავშირში იყო გურამიშვილის სახელთან. მწერლის ალღოთი ადამიანებს ეტყობა, ვინ ვის ეკუთვნის. ეს ერთ-ერთ ადგილას ერთ ოჯახად ჩაეთვალა

# საქართველოს ქალაქებიდან — ბაზრიდან

ჩვენი ბუნების მფფველება.

ფოტო თ. ბაჩუკიანისა.

## დაირგო ათასობით ძირი ხე

### „ბუნების დაცვის კვირეული"

● **თელავი.** (საკ. კორ.). 28 მარტს მოეწყო პირველი მასობრივი მუშაობა თელავში. გამარჯვების ტყე-პარკში ამ დღეს დაირგო 1.000-ზე მეტი წიწვიანი მცენარე. მასობრივი შაბათობები მოეწყო 4-5 აპრილს. გამარჯვების ტყეპარკისა და მედკოლეჯის ტერიტორიაზე დაირგო 1.800 ძირი მარადმწვანე მცენარე. კვირეულის დღეებში რაიონში დაირგო 6.000-ზე მეტი ხე და ბუჩქი.

● **ხაშური.** (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები ერთსულოვნად გამოვიდნენ ქალაქის, დაბა სურამისა და სოფლების ტერიტორიების გასამწვანებლად. ამ ადგილებში დაირგო 30 ათასი ძირი ნაყოფის მომცემი და დეკორატიული მცენარე. გამწვანდა აგრეთვე ბორჯომის, ტაბიძის ქუჩები, ხაშურ-სურამის გზა და სხვა ადგილები.

● **ზესტაფონი.** (საკ. კორ.). ქალაქისა და სოფლების ქუჩებში, გზისპირებსა და დასახლებულ ადგილებში დაირგო ათასობით ხე და ბუჩქი, ხილ-კენკროვანი მცენარეები. საკოლმეურნეო მინდვრებზე გაშენდა 1.800 ჰექტარი სახელმწიფო ქარსაფარი და საკოლმეურნეო მინდორსაცავი ზოლები. ახალი ნარგავებით შეივსო ტყის პირები და სოფლის განაპირა მიდამოები.

ამჟამად რაიონში დიდი მუშაობაა გაჩაღებული გამწვანების ერთთვიურის გეგმის განსახორციელებლად. 1 აპრილიდან 10 მაისამდე დაირგება 100.000 ძირი სხვადასხვა ჯიშის ხე და ბუჩქი.

● **ჭარელი.** (საკ. კორ.). 1970 წელს ჭარელის რაიონში უკვე დაირგო 60 ათასი ძირი ხე ნაცვლად 50 ათასისა, ამას კიდევ 20 ათასი ძირი მეტატება. მრავლდება მინდორსაცავი ზოლები, გატყევდა ეროზიერებული ნაადგილები.

ავ თვალს არ ენახება ბებნისის ტყეპარკი. 25 ჰექტარი უჭირავს მხრებგაშლილ ნაძვებს, ფიჭვებს... ნარგავებს საგულდაგულო მოვლა ეტყობა.

## ჭიდრაკი

### ახალგაზრდული შემადგენლობით

რესპუბლიკის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო საქართველოს პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის. მისი შემადგენლობა მთლიანად ახალგაზრდულია, რაც საინტერესო ბრძოლას გვპირდება.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონი ოსტატი ც. კობაიძე, თბილისის ჩემპიონი ლ. კოროშინაძე, თ. ხუციშვილი, ნ. ჩიჭობავა, მ. სანაძე, ც. კახაბრიშვილი, ს. ივანოვა, თ. კაკბარავა, კ. პილიერი, ნ. ხუბულური, ნ. ბაღაშვილი, მ. დათაშვილი, თ. ჩხიკვაძე (სოხუმი) და სხვები. საინტერესო უნდა გამოდგეს ტურნირში 12 წლის მ. წერეთლის მონაწილეობა.

პირველ ტურში ოსტატმა ც. კობაიძემ ძლიერი იერიში მიიღო ნ. ხუბულურთან და გაიმარჯვა. მ. სანაძემ სძლია კ. პილეერს, თ. ხუციშვილმა — ც. სიორდიას, ლ. კოროშინაძემ — თ. ჩხიკვაძეს, მ. დათაშვილმა —ნ. ბაღაშვილს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

## ფეტეზეა კოლეგა

მინდინარე წლის 3 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილის სამეცნიერო ნაწილში ვიქტორ ჯაფიაშვილის ინფორმაციით ვიუწყებოდით, რომ ამ დღეებში ცაზე ვამოჩნდა საინტერესო ციური სხეული, „აუდიანი ვარსკვლავი", ეს ბენეტის კომეტაა. იგი ჯერ კიდევ ჩანს ცაზე დილით ადრე.

კომეტის ელექტროპოლარიმეტრიულმა გაზომვებმა აბასთუმნელ მეცნიერებს უჩვენა, რომ მისი სინათლის პოლარიზაციის ხარისხი აღემატება ორმოც პროცენტს. ეს იმას მიანიშნებს, რომ კომეტის შემადგენლობაში დიდი რაოდენობით არის მტვიროვანი ნაწილაკები.

გუშინ რედაქციამ აბასთუმნიდან მიიღო ობსერვატორიის მეცნიერი მუშაკის ო. ბოლქვაძის მიერ 3 აპრილს გადაღებული ბენეტის კომეტის ფოტოსურათი.

**სურათზე: ბენეტის კომეტა.**

ფოტო ო. ბოლქვაძისა.



## გ. ს. ახვლედიანი — საზოგადოება „ცოდნის" საკავშირო ნიგნში

**საქართველოს** სსრ საზოგადოება „ცოდნის" თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ე. ჭახრაკიამ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს გ. ს. ახვლედიანს გადასცა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" დიპლომი. თავლსაჩინო მეცნიერი შეტანილია ამ საზოგადოების საპატიო წიგნში თვალსაჩინო წვლილისათვის მის მუშაობაში, მეცნიერების პოპულარიზაციისა და მშრომელთა შორის ცოდნის გავრცელების საქმეში.

გ. ს. ახვლედიანი საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" ლიტერატურის, ენისა და ხელოვნების პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს უცვლელი თავმჯდომარეა. იგი არის აგრეთვე საზოგადოების გამგეობის წევრი და გამგეობის პრეზიდიუმის წევრი.

გიორგი სარიდანის-ძე ახვლედიანი თვალსაჩინო ენათმეცნიერია. იგი მთელი რიგი დიდი მეცნიერული ნაშრომების ავტორია, რომლებიც ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ. მისი რედაქციით ახლახან გამოვიდა ოსური ენის ორტომიანი აკადემიური გრამატიკა.

მეცნიერს მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებანი.

(საქდესი).

## ნაირ-ნაირი

### ფეთქებანი მზეზე და მცენარეთა აპაღლეოფოგანი

მეცნარემთა დაცვის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში (ლენინგრადი) დაადგინეს, რომ მზის აქტივობასა და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ავადმყოფობებს შორის გარკვეული კავშირია.

1968 წელს მზის მოქმედების პიკი იყო. ამიტომ მომდევნო ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში უნდა მოველოდეთ არაშავნიანდაგიან ზოლში ხორბლის ყვითელი და მურა ჟანგას, მტვრიანი გუდაფშუტას, კარტოფილის ფიტოფთორის მავნებლობის, ხეხილის კულტურების ხმობის გაძლიერებას. ამავე დროს შესუსტდება ხაზური ჟანგა, დაიკლებს ციტრუსოვანთა დაზიანება კაკასიაში.

მეცნიერნი მოუთმენლად ელიან პროგნოზების დადასტურებას. (აას).

## ნაირ-ნაირი

### კიბერნეტიკა თეატრში

**ფრანგული** თეატრის სამყაროში ცვლილებებია: ახლო მომავალში ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების საშუალებით შესაძლებელი გახდება წინასწარ შეუცდომლად გამოვიცნოთ ამა თუ იმ ახალი სპექტაკლის წარმატება ან ჩავარდნა. როგორც კი გაიმართება გენერალური რეპეტიცია, ორი დღის შემდეგ ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაში ჩაუშვებენ განმაზოგადებელ მონაცემებს, რომლებიც ეხება პრესაში გამოქვეყნებულ გამოხმაურებებს, წინასწარ შეკვეთილი და გაყიდული ბილეთების რაოდენობას. ხუთი-ექვსი წამის შემდეგ მანქანა იძლევა ზუსტ პასუხს მომავალი სპექტაკლის შესახებ.

პირველი ცდა, როგორც გაზეთი „ფიგარო ლიტერერი" წერს, მოეწყობა პარიზის ეროვნულ სახალხო თეატრში. მაგრამ მარტო ამით როდი შემოიფარგლება ეს სიახლე. შაიოს სასახლეში არის სატელევიზიო სტუდია სამი კამერით, რომლებიც მოთავსებულია სალაროებში და ეკრანებზე გადასცემენ მაყურებელთა დარბაზში შექმნილ ზუსტ სიტუაციას ყოველ წარმოდგენაზე.

## ბრაკონიერები

**ზოიზიბლებით** ლეჩხუმის მთებითა და გორაკებით, ულამაზესი ბუნებით, საუკუნოვანი ტყეებით, მთის აქაფებული მდინარეები და ჩანჩქერები განსაკურთხებულ სილამაზესა და ეშხს აძლევენ ამ თვალწარმტაც მხარეს. ცხენისწყალსა და რიონში, ჭონოულასა და ლაჯანურში ოდითგანვე ძვირფასი თევზი ბინადრობს. ბოლო ხანებში ამ მდინარეებში კიდევ უფრო მომრავლდა თევზთა სამყაროს მშვენება და სიამაყე, ოქროსფრად დაწინწკლული კალმახი.

მართალია, კალმახი მომრავლდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მომრავლდნენ ბუნების მტრებიც — ბრაკონიერები.

ამ დღეებში აქაურები შემაძრწუნებელი სურათის მოწმენი გახდნენ. ქვის კარიერის მუშამა ნოდარ ბენიძემ, მეკვლად მელაძემ და გრიგოლ უგრეხელიძემ მდინარე ჭონოულაში დინამიტები გადაყარეს.

საზარელი აფეთქების ხმამ შეაზანზარა ხეობა, წყლის შადრევანი ჰაერში ავარდა. გაბრუებული, მუცელგაპობილი კალმახები საცოდავად აფართხალდნენ წყლის ზედაპირზე. ბრაკონიერები ხარბად დაეწაფნენ ნადავლს. მაგრამ ნავსაყინი გამოდგა ის დღე ამ ვერაგი ადამიანებისათვის. ბორტგამშრახველებს სატყეო მეურნეობის მუშაკები სწორედ მაშინ წაადგნენ თავს, ულმობლად დახოცილ კალმახებს რომ ყრიდნენ ვედროებში.

ბუნების მტრები პასუხისგებაში არიან მიცემული. ისინი მალე წარსდგებიან მართლმსაჯულების წინაშე და დამსახურებულ სასჯელსაც მიიღებენ.

მეტად კმაყოფილი ვარ, რომ ჩამოვედი თბილისში, სადაც როგორც ინჟინერ-არქიტექტორს შესაძლებლობა მომეცა მენახა თქვენი არქიტექტურული ძეგლები, რომლებზეც ძალიან ბევრი რამ წამიკითხავს და მსმენია, გავცნობოდი ქალაქთმშენებლობის საკითხებს.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. მ. ბუაჩიძემ თქვა:

— ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს მთელი რიგი ერთობლივი მეცნიერული კვლევა ბრნოს უმაღლესი ტექნიკური სკოლის წარმომადგენლებთან ერთად. კერძოდ, მათი თხოვნით ვიწყებთ ქარლოვი ვარის წყლის შესწავლას მეთოდით, რომელიც ჩვენი ინსტიტუტის ჰიდროგეოლოგიური პრობლემების ლაბორატორიაშია შემუშავებული. ხაფხულში ინსტიტუტის სალეკციო ჯგუფი გაიგზავნება საწარმოო პრაქტიკის გასავლელად ბრნოში. თავის მხრივ, ჩეხოსლოვაკელი სტუდენტები ჩამოვლენ თბილისში.

(საქდესი).

## თბილისი — ბრნო

# მეგობრობა მჯკიცდება

**უკვე** ორი წელია საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოს უმაღლეს ტექნიკურ სკოლას დადებული აქვთ შემოქმედებითი თანამეგობრობის ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს უფროსი კურსების სტუდენტების, ასპირანტებისა და მოხალისე სპეციალისტთა მასწავლებლების გაცვლას, ერთობლივი კონფერენციებისა და კვლევის ორგანიზაციასა და მოწყობას, აგრეთვე საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის თანამშრომლთა მეცნიერული სტატიების პუბლიკაციას ბრნოს უმაღლესი სკოლის შრომებში და პირიქით.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები რამდენჯერმე იწვევნენ თავიანთ ჩეხოსლოვაკელ მეგობრებს, ახლა კი ისინი მასპინძლობენ ბრნოს დელეგაციას. თბილისში ჩამოვიდნენ ბრნოს უმაღლესი ტექნიკური სკოლის რექტორი პროფესორი მედუნა, უმაღლესი სასწავლებლის პროორექტორი, პროფესორი ენენკლა და დოცენტი ბოროკო